

საქართველოს კანონი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (საქართველოს აკანონმდებლო მაცნე, N 32(39), 1999 წელი, მუხ. 166) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 52-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე საკუთარი გერბის არსებობის შემთხვევაში გამოისახება საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (მაყურებლის მხრიდან მარჯვენა ზედა კუთხეში) და ესაბამისი თვითმმართველი ერთეულის გერბი (მაყურებლის მხრიდან მარჯვენა ზედა კუთხეში), ოღო საკუთარი გერბის არარსებობის შემთხვევაში (მის დამტკიცებამდე) – მხოლოდ საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (ცენტრში)“.

2. 52¹ მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს დიდი სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე — საქართველოს ვიწრო სახელმწიფო გერბი და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2010 წლის ___ მარტი.